



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 8

2017 წლის 21 თებერვალი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სარიტუალო მომსახურების ცენტრის“ დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტებისა და ამავე კოდექსის 106¹-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა და წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, დააფუძნოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სარიტუალო მომსახურების ცენტრი“.
2. განკარგულება გასაცნობად გადაეგზავნოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



გივი ზურაბაშვილი